მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. იაღლუჯას მიმდებარედ შპს „ენერჯი სოლუშენს 2“-ის 50 მგვტ დადგმული სიმძლავრის მზის ელ. სადგურისა და 110 კვ-იანი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

4 დეკემბერი, 2023

2023 წლის 10 ნოემბერს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნდა სკოპინგის განცხადება - სოფ. იაღლუჯას მიმდებარედ 50 მგვტ დადგმული სიმძლავრის მზის ელ. სადგურისა და 110 კვ-იანი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის შესახებ. დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელია შპს „ენერჯი სოლუშენს 2“.

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და მოსაზრებებს აღნიშნულ ანგარიშზე და ანგარიშის განხილვის პროცესში საზოგადოების მონაწილეობაზე.

ალტერნატივების ანალიზი

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია.

დოკუმენტში მხოლოდ ნულოვანი, ეგხ-ის ტრასის და ტიპის და ქვესადგურის ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტებია განხილული. ანგარიშში არ არის განხილული მზის პანელების განთავსების უბნის ალტერნატიული ვარიანტები. მეტიც, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაკეთებულია დასკვნა, რომ შერჩეული ტერიტორია მზის ელ. სადგურების მოსაწყობად ერთ-ერთ ყველაზე კარგ უბანს წარმოადგენს. დოკუმენტში ასევე ვკითხულობთ, რომ აღნიშნული *„ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევით არის დასაბუთებული“*. თუმცა, სკოპინგის ანგარიში ასეთ კვლევას საერთოდ არ მოიცავს.

როგორც საჯარო განხილვაზე გაირკვა, საბოლოოდ სწორედ ის ტერიტორია იქნა შერჩეული, რომელიც შპს „ენერჯი სოლუშენს 2“-ის საკუთრებაშია. შესაბამისად, სხვა ადგილმდებარეობის ალტერნატივის გახილვა არც მოხდარა. ნათელია, რომ საწარმოს მშენებლობა თავიდანვე დაგეგმილი იყო კომპანიის მიერ შერჩეულ ტერიტორიაზე. მსგავსი პრაქტიკა ეწინააღმდეგება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს, რომელიც მოითხოვს ადგილმდებარეობის რეალური ალტერნატივების განხილვას საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზევე.

ბიომრავალფეროვნების კვლევა

აღსანიშნავია, რომ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საველე კვლევები 2023 წლის ზაფხულში, მხოლოდ აგვისტოს თვეში განხორციელდა. ნათელია, რომ საკვლევ ტერიტორიაზე წელიწადის ერთიდაიგივე დროს ერთმანეთისგან განსხვავებული გარემო პირობები, რომლებიც გავლენას

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

მოახდენდნენ სახეობების ქცევასა თუ გავრცელებაზე, ვერ იქნებოდა. სკოპინგის ანგარიშში ასევე ვერ ვხდებით ინფორმაციას, საველე გასვლების რაოდენობის შესახებ. ბიომრავალფეროვნების სრულყოფილი შესწავლისთვის და ზუსტი მონაცემების შესაგროვებლად მხოლოდ ერთ სეზონზე, ისიც მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ჩატარებული საველე კვლევა არასაკმარისია.

საზოგადოების ინფორმირებულობა

საჯარო განხილვამდე, მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სოფელ იაღლუჯაში. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო ინფორმირებული საჯარო განხილვის შესახებ. სოფელ იაღლუჯას მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საჯარო განხილვის შესახებ ჩვენგან შეიტყო. როგორც გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენელმა საჯარო განხილვაზე განმარტა, განცხადება საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მოთხოვნით, გადაგზავნილ იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტში და მათ ნამდვილად უზრუნველყვეს განთავსება სხვადასხვა ადგილებზე. საველე გასვლის დროს გავარკვიეთ, რომ ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ გამოკრული იყო მხოლოდ იაღლუჯას ერთ უბანში. ადგილობრივების თქმით, აღნიშნული განცხადებები განხილვამდე ერთი დღით ადრე განათავსეს და მათ სკოპინგის ანგარიშის გაცნობის შესაძლებლობა არ მიეცათ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ინფორმაციის გავრცელება არ მოხდა ეფექტურად.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვებია, მათი მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება პროცესს მნიშვნელოვნად აზარალებს. აქედან გამომდინარე, დროულ და ეფექტურ ინფორმირებას საჯარო განხილვამდე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნება და საზოგადოების ინფორმირება არის მხოლოდ და მხოლოდ ცენტრის ვალდებულება. გარდა ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისა ცენტრმა უნდა უზრუნველყოს საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადების განთავსება ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი)[1].

[1]საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანება, საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ.